

შინაური სამუშაოები.

No. 13

ფასი ერთი შაური.

წლიური ფასი სამი მან.

წელიწადი მეოთხე.

სოცველ-კვირეული გაზეთი.

კვირა, 22 მაისი, 1911 წელი.

წიგნი) (ყოველ-კვირეულ გაზეთი)

შინაური სამუშაოები — ხელის მოწუნა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (ს. ბურთაძე — გაზეთის მუქის მ. შ. № 17). და თბილისში გამომცემლის ს. ა. მასის ბ. ზაზაძე, სოხუმის ბ. ზაზაძე, გომივო ყოველ თვეში ოთხი ნომერი, ვარა კვირებისთვის და მარიამობისთვის, როცა გაზეთი სულ არ გამოვა. ბ. ხელის მოწმურლებს ეხმარება გაზეთის ფასი მიიღოს წლის ერთად გამოგზავნიან.

წლიური ფასი: ნახ. წლით: **3** მანეთი. **2** მანეთი. **გაზეთი დეტულობს ყოველგვარ განცხადებებს.**

აღიბეს: ქუთაისი: „შინაური სამუშაოები“ რედაქცია.

შინაურად: 1) ქუთაისი 22 მაისი. 2) სამხედრო-ლოგის ჯეკარვა Fanius-ს, 3) კეკელიძის უნივერსიტეტი, 4) გული დამწყდა! კერძო მსსვე-ლებლის, 5) „დემეტრე წყალობა გამოგვიგზავნა“ (მოთხრ. რუსულიდან) თარ. მდ. ს. კეკელიძის. 6) ვ. კ. სისტიკის წინაშე (Vpro Poc.) 7) 1) — სორისტის, 8) წერილი სოფ. კობლეთურთან მღვდ. ვლ. შაჰარაშვილის, 9) ბიბლიოგრაფია, 10) წერილი რედაქციის მიმართ მღვ. გერგუსი ბარათაშვილის.

ქუთაისი 22 მაისი

გაზ. კოლხიდის № 37 ბ. ტ. ანთო მეტაძე ჰგონებს, რომ სოფლათ „ნაუთო ფიქრი მუშაობა დღეს მკუდრული სთება“ ჩვენდა სამწესწარათ და სავალალოთა, ამბობს იგი, სოფლის ხალხში სარწმუნოების დაცვამ თან გაიყოლია ზნეობაც, რამაც ძირიან ფესვიანათ შეარყია მათში ადამიანის ვაჰაკითილიშობილებელი რწმენა და სინილისი. გულ-ანდილობა, გულწრფელობა და ხასიათის სიმტკიცე ძალზე შესუსტდა. ნამდვილ მშობა-ერთობაზე ხომ ლაპარაკიც მეტია!.. შეველა ერთმანეთის მოტყუებასა და დანაჯვრის ცთი-



ლობს... დღევანდელი გულითადი მეგობარი—
სიტყვით ყველაფერია, საქმით კი არაფერი!..
აგრეთვე აღებული „კინკლაობა“, პირად ინტე-
რესებზე აწინებული „პარტიობა“, ერთმანეთის
ჟინისთვის საზიარო საქმის ჩაშლა, და სხვა
ამისთანები უმაღლეს წერტილამდე მისული.“

ჭეშმარიტება თავს არ დამალავს! დი-
დი ხანი არ ღრის მას აქეთ, რაც სარ-
წმუნოების სახელის სხენებისთვის სამარ-
ცხვინო ბოძზე აკრავდეს ჩვენში ადამიანს
დღესაც არ გადაძენებულა. თუ უფრო არ
მოძენებულა, ერთი წრის ადამიანები, რომ-
ლებიც ეოჯელ უბედურებას ხალხთა მო-
რის სარწმუნოებას ახვევენ თავსე. ბედ-
ნიერ დღეს, 17 ოქტომბერს, ერთმა ორთ-
ტორთაგანმა ქუთაისის საკრებულო ტა-
ძარს ხელი მიართვა და სთქვა ეს არის
ჩვენი დამღუპველი, ამის ბრალია, რაც
ხალხში ცრემლი იღვრება. დღესაც სმი-
რათ შეხედებით, ვინც ხალხში სარწმუ-
ნოების აღდგენაზე და განმტკიცებაზე
ღანადაკობს, მოვალატეს ემასიან და მის
მიმართულებას მაყნებლად აღიარებენ. ამას
წინათ ბ. ასეკლა „სახალხო გაზეთში“ ჩვენ
წინააღმდეგე გამოილაშქრა და ჩვენი გა-
ზეთის მიმართულებას მაყნებელი უწოდა,
რის დამტკიცებანაც ახლო მომავალში
დაგვიბრდა, უთუოდ სარწმუნოებას რომ
ვესარწმუნებთ მიტომ.

როგორც სარწმუნოება დაკარგულ
ხალხში დაიკარგა მძობა-ერთობა, ეს ვი-
თომ და ახალი მოძრაობის უმთავრესი
დღეიხი, ისე თანამედროვე ზრესმიდაც
დაიკარგა ერთობა და სოლიდარობა ხალ-
ხის საკეთილდღეოთ გაიჩინს დღეკანდელი

გაზეთი თუ ჟურნალი ერთ რაიმე ზარ-
ტიულ ზრინციანს და მის გარეშე არ ცნობს
არავის და არაფერს; ასე ჭკონია მის
ზარტიულ ზრინციანს გარეშე არ არსებობს
არავითარი სახელმძღვანელო ზრინციანი
ცხოვრებისა. ამიტომაცაა რომ ჩვენი ჟურ-
ნალ გაზეთები ერთმანეთის ბრუული თვა-
ლით უეურებენ და ისე არ მოიხსენიებენ
ერთმანეთს თუ არ ღანმძღვა-ვინებით.
გამოცემების გაცვლა გამოცვლასე, რო-
მელიც, ესე ერთქვით, ზრესის სწეობრივ
მოვალეობას უნდა შეადგენდეს, სომ ხმის
ამოღებაც არ შეიძლება, განსაკუთრებით
თუ გაზეთი სარწმუნოებრივ-სწეობრივი
მიმართულებისა. აკერ ოთხი წელიწადია
ჩვენი ორგანო გამოდის და ამ ხნის გან-
მავლობაში მხოლოდ „კოლხიდამ“ გაგუ-
ხდა ღირსი თავის გამოცემისა. ესეც უთუ-
ოდ მისთვის, რომ ჩვენ სარწმუნოებას ვე-
სარწმუნებთ.

დაიხ, სდმწუხაროთ და სავალალოთ
ჩვენდა, სავსებით ვეთანხმებით ბ. ართე-
ლამეს, რომ სარწმუნოება დაკარგულ
ხალხში არაფერი სიკეთე არ გაკეთებულა
და არც გაკეთდება, ამიტომაც უმთავრესი
ჩვენი ურადღება იმაზე უნდა იყოს მი-
ქცეული, რომ ხალხში სარწმუნოება არ
დაეცეს, არამედ ამდღედ და განმტკი-
ცდეს. მძათ მოვედრება, ერთმანეთის შვე-
ლა გაჭირვებაში და დანძარება ზირველათ
სარწმუნოებრივი სათნოებანია, რომელ-
თათვის საუკუნო სასუფეველია აღთქმუ-
ლი. შეურებიე ადამიანს ამ სასუფეველის
რწმენა, მისი მოლოდინი და თქვენ მი-
იღებთ ერთგვარ ცოცხალ მანქანას, რო-



მელიც მძიას იძისის და ნიადავ საჭ-
მელს თხოვლობს. იგი უკვე ყრუა ეო-
ველი მადალი ზნეობრივი მოთხოვნი-
ლებიდან და სშირათ მხეცათაც იქცევა,
რომლის დაცვობას ვერაფერი შეიძლება,
გარდა შავი მიწისა. და ასეთ ხაღმინ
მანქანათა შორის მძობაერთობა განა
საფიქრალია? დიას, დროა და უკვირდეთ
საქმეს, სანამ კიდევ გვიან არ ღრის. დროა
შევიგნოთ, რომ იდეა მძობაერთობისა
კარლ მარქსს არ დაუბადებია და ვერც
აღსრულის მას მისი სისტემა საღვთა
შორის. ეს იდეა ქრისტიანულ სწავლან-
მძობერებაზე აღმოცენებული და მხოლოდ
მარტო მას შეუძლია მისი ბოლომდის
განვითარება. შესანიშნავა ი. ართმელაიის
წერტილში ისიც რომ სოფლად კეთილი
დაწვევულების ჩამქლელნი მძობეტებულ
ნაწილათ ისინი გამოდიან, „რომლებიც
წინათ (ე. ი. როდის? 1905—6 წლებ-
ში?) შეგნებულ ზირებთ ითვლებოდენ
სოლმე“.

დიას, სწორეთ ეს ეოფილი შეგნე-
ბული ზირები არიან ის ზირები, რომ-
ლებსაც თქვენი მძობაერთობა ჩირადავ
არ მიანჩნათ. ეს სიტყვები მათთვის ძა-
შინაც „ვივესკა“ გახლდათ, როცა გაიძა-
დენ; ეს მაშინ იმდენათ იყო მათთვის სა-
ჭირო, რამდენათაც თავის საქმეებს იკე-
თებდენ. დღეს კი ვიდას უნდა შენი ცა-
ლიერი მძობაერთობა?!

სამღვდელოების ავკარგი.

(ვაგრძელება*).

საჩვენებ სოფუძვლების თანახმით რომ არჩე-
ვები სდებოდას, მათ ვერაგისობაში გუჯის შეტა-
ნვ ცოდვით უნდა ჩაითვლოს. სამწუხროთ სა-
ნამდვილე სულ სხვას გვეჩვენება. რადრე მოსა-
სრებოთ მღვდელმთავრები არ ნებულობენ, ეოკლ-
თვის და ეოველჯან ისარგებლონ ამ ფართე უფლე-
ბებით და გადამწეკტ ხმას საღვთის არჩევანს უთ-
მობენ, იუნდაც ეს არჩევანი ხვდას ეოვლად უღირს-
სა და უგარს. არ საჩრებლობენ ამ უფლებებით,
ჩვენი ფიქრით, ამ საფუძვლით, რომ სიტყვები
„пригодный“ და „непригодный“ სოხიქტუ-
რი რჩებუბა და მათი სრული მნაშენლობის გან-
მარტება და განსაზღვრას დამოკავებულია ზირად
შესვლადობაზე. ის, რაც ერთს შესაფერისათ და
საკარგისათ მიანჩნა, მეორისათვის, შეიძლება,
უკარგისი და შეუფერებელი იყოს. დიას, ეს ისეთი
საშოთირო კითხვას, რომ აქ დავა ეოვლად შეუ-
ძლებელია და ჩვენც უნდა ვაჩვენებდეთ. ზირში წეა-
ლი უნდა დაიკუბოს კარმა და გულში ჩაიკლას ის
საშოთილიან და ბუნებრივი აღმოკოება, რომელ-
საც განიხდას ეოკლეი შეტნებული ადამიანი, როცა
სედავს, რომ სამღვდელო და სანაშიქანდიაკო განდი-
ტატების უზირატკისობა იზომება არა ზირადი დირ-
სებით, არა ნასწავლობით და ზნეობრივი აკლ-
ადვებით, არა ნამსახრობით, არამედ სულ სხვა
მოსასრებოთ... აქ მღვდელმთავრებმა უნდა აღი-
მადლონ თვისი აკტორიტეტული ხმა და ეოკლე-
თის დირსეულ განდიტატებს გამოეკომავონ. სე-
მინარელს უზირატკისობა უნდა ეძლეოდეს არა
სემინარაელს წინაშე, ნასწავლს უსწავლელის წი-
ნაშე, სოლო ნამსახურს და უადრესი ზნეობის
პატრონს უმსახურო და ზნე-დაცემული წინაშე.

*) იხ. „შინ. საქ.“ № 12.





უამისოთ ცხოვრება შეუძლებელია და ზუტანელი. ამის შემდეგ ჯერ კვამიტყუანობა ხლანდელი სემინარიალები, რომ ღვღვად წასვლას თავს არა დებენ და სხვა სამსახურს ეტანებიან. არც სამღვაწეობაა განამტყუანობა, რომ იგი გულ გრძობად ეკადროდეს სასულიერო სასწავლებლების შესასვლას. აწინდელი სამღვაწეობა შეურაცხყოფილად უნდა გრძობდეს თავის თავს, რადგან მისი პირადი უფლება და ღირსება შელახულია შინაურისაგან და არა შინაურისაგანაც. მისი შვილები დგებიან არაან სასულიერო უწყების ასპრეზიანს და რღვ განსკირილია, რომ სამღვაწეობა განსუ გულგან სასულიერო სასწავლებლებს და სერო სასწავლებლებს მამურთს თავის შვილებს იხსნობდა, რათა უნდა დაუწყდეს ეს.

ეს უნებურად მაგონდება ნეტარ-სსენებელი გბორელის სიტყვები, რომელნიც მან უთხრა ამ სტრეონების დამწერ ოცნ წლის წინათ ერთი შემთხვევის გამო დარბების დროს: „მღერ მოსარული ვარ, რომ სამღვაწეობას თან და თან ემტება სემინარიალები. ამ უკანასკნელ წლებში მათ მოუხსიარეს სოციალური წასვლა. წინთ მუთითონ ებებწებოდი, მაგრამ არ მიდიოდენ. ახლა ვა ვერ ვაგმყოფილებ მათ სურვილს ადგილების უმთხობობის გამო. ვგდილოა, უპირატესობა უოკლეთვის მათ მაკსნი და სრული დარწმუნებული ვარ, ჩემს იმედს ეკამართლებენია.“ სრული ტემბირტება და ვა აქნება, ახლაც ასე ეპურობოდენ ნასწავლ სამღვაწეობას. აქ, რა თქმა უნდა, ანგარიშიში მისატყან არ არის ზოგადობის მებედულობა გბორე შემთხვევისა გამო, ვითომც ნასწავლამ სამღვაწეობამ ხელს სარწმუნობაზე გული აუღრუთა. წენა ახრით მთლად უგონს, რომელმაც, შეიძლება, სადმითო წეროდა ზეპირად იცის, მაგრამ მისი აზრისა და მხამუხლობის ეპროფირი გეგება, მანც სასულიერო სასწავლებლებში ნასწავლები სუობის, რადგან მათ ჭიპა ამ სადმითო საგნების შესწავლაში მოუწყებოთ და განს დასაუბრებელია, რომ მათ ვადე იყო სასწავლებლებს დანს გამორბეულია, ან სულ უსწავლებლი კანდაცტუბი სუობდენ?! ეს როგორღაც არ ეთანხმება ეანერბას. ამტომაც ესთქათ და ვადეც ეპიორებთ, რომ მღვაწეობათურებმა უნდა

ისარტებლან თავის უფლებებით და ხლხს უოკლეთის ნასწავლი მღვაწეობი მათლოდნ. ხლხსსა შესეღვლობით სელმძეველობა მღვაწელებს ენების მტრს, გარკ არის მოკლესს არაივის: არც სამღვაწეობას და არც ხლხსს. ჩვენ პირადი ახლას ვადეგბართ ხლხსთან და დანმღვალებით ვირით მისი ფსიხიოლოგობაც. ჩვენ მოწამე ვართ რამდენამე არჩეებისა და უოკლეთის ხლხს სულ სხვა და სხვა მოსწრებით სელმძეველებს.

ერთგან უპირატესობა მისცეს უსწავლელ მღვაწელს ნასწავლებს წინაშე მარტო ამ სუფულებით, რომ იგი ახლობელი იყო, მკარგდეს სემინარიალს სემინარისი პირველი კლასიდან გამორბეულმა გაუსწრო წინ, რადგან იგი პირველზე უფრო გარკი მესასწავლი და წამოსადეგი გამოდგა, მესამეგან მღვაწელ სამოწავლოთ აირჩეს ამ იმედით, რომ ამა ანაფორას ჩვენამეოთ და შემდეგ ჩვენ ვადეც სსვას ვამოვანთო. მეთხებლან... მაგრამ რამდენი უნდა ჩამოკოვლოთ? ხლხს უოკლეთის ოცნის სუფოარის სხობა აქვს მღვაწელის დარწმუნებლობს და უოკლესობა პირადი ანგარიში ალამბრბებს. ზოგს თავისაინი და ნანობი უნდა ეთავზინოს, ზოგს გულით არ უნდა, მაგრამ გერცხლის სისარბე ხლხლავს და ზოგსაც პუ-მაროდი ალამბრბებს.

სამღვაწელო კანდიტატებიც არ აუოხებენ და ეკატრისა დიდი სხინდის უადებთან. ზოგგან ადგილიც არ არის თავისუფალი და სასრებო სამზადისი ვა მოთავებულია, თუმცა ეს სსენებელი უქსათ სასტოვად აღმძლეულია. დანს, ადტირბად აღმძლეულია, მაგრამ არჩეებებინ უამისოთ მუქმლებლია ახლანდელ დროში ეს ასეც ხდება უოკლესს და უოკლ არჩეების დროს: პრეზიდენტს არჩევენ, თუ სსხელმწიფო სათითობის დეპუტატს ქლავის. მოკრავს, თუ ბანგის დარბეტორს, გუბრნისას წინამძღოლს, თუ მზრისისს. ამ შეუფერებელ და მათი ღირსებასათვის უკდრისის სმუხლებს მამართეს სამღვაწელო კანდიტატებს. სსენებელი უქსათ ვა სულ სსვას აწობს: „Ищущий мѣсто въ причтѣ отнюдь не долженъ входить въ соглашенія ими въ сдѣлки съ прихожанами относительно содержанія получаемого отъ прихожанъ. Если-же въ



последствии обнаружится, что онъ входилъ въ соглашенія или въ сдѣлки, или же располагалъ прихожанъ въ свою пользу искусственными средствами, напримеръ, угощениями и т. п., то таковой будетъ уволенъ заштатъ, хотя бы онъ былъ утвержденъ епархіальнымъ Начальствомъ въ должности.“

მაგრამ ეს მუხლი განთხიას არავის ამბებს. სამღვდელთა განდიდებები სრულებით არ ერიდებიან მიმართონ დასაცემბ სსმუალებებს და მთ თავი მოაწონონ ამა თუ იმ სამღვდელს. სამწუხაროთ მრველდც ისაბლებს, ტუჟადებს. მთავრობა კი ერიდება ამ გვარი შემთხვევების გამოაშვარავების და სიტყვის შეურთუნებლად ამტკიცებს წარდგენილ არჩევებს, თუ კი გარეგანი, ფორმალური მხარე არჩევებისს დეჟუაა.

დროს სამღვდელთებმ გაითავალისწინონ თავისი უმისოდრე აუტსხელი და მიმიე მდგომარეობა და თვის დირსების ფეჭოსად დარკვის ეტადონ. თუ კი ამ არჩევებისს თავიდან მოშორება მანდს და მანდ დღეს-დღეობით მოუხერხებელია, თვითონ სამღვდელთება ეტადონ; დარჯად დაუდრეს უოგელ არჩევებს, რათა იგი სთეობრეს განონიერ ფარგლებში. სამღვდელთებამ არავის არ უნდა ამატოას თავის დირსების შეურაცყოფას და არავის ეახლებინონ უსინდისო და უბატოისნო საქციელი.

უოგელი ასეთი შემთხვევა მან მოურადებლად უნდა გამოაშვარავოს საქვეყნოდ და სოზოგადობებს მისცეს მსჯავრის დასაბუხად. ამისთვის ჩვენს ხელთ არის მხოლოდ ორი სსმუალება. სსამხანგო სსამართლო და ბეჭდვითი სიტყვა. ჩვენც ამით მივმართოთ და ბორორტებს თუ არ მოაშობა, სავრმობელით შემცირდება მანდ. სსანიმუშობად ავიდლოთ ქუთათური უგანსხელი არჩევნები.

როგორც მოგვსსვენბათ ქუთაისის მთავარ-ანგელოზის (სსსაფლასი) ეკლესიიდან გადაიყანეს სსავთქდრო სობოროში მღვდელი ვასილ დოლაბერიძე დეე. შვანგირაძის ადგილზე, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ადგილას ეტრება კავრძელად თითქმის ათა თვე, თუმცა დარეჟული მთხვნელები იმ თავიდანვე ბერი გამოიხდა. ათა თვის წონ-

დაწონვის შემდეგ ამ ადგილზე გადაიყვანეს ჩემოხსენებულა მღვდელი დოლაბერიძე და ამ სსხით მისი ადგილი თავისუფალი შეიქნა. დიასნიშ არჩევნები და აქედ ოდამდე მთხვნელი გამოიხდა. სხვა და სხვა სოფლებიდან. ბერიმ მთში სემბსარიელებიც ერთხენ და დიდი სნის სსმსხურებიც მთხვნელებს სსმართლად ამაწარდ მოუშობას, თუ რ: დედ. სურვილი უოგელია სამღვდელთებში ქებაქის ადგილებზე გადასვლისა. ამ სურვილსაც თავისი გასამართლებელი სსბუთა აქვს და ამისთვის ჩვენ იგი განონიერ მოთხვნახლებათ მიკავსნიან. უმეტესი სსწლით ამ მთხვნელების დატვირთულია. წართლი შეადებით, რომელთაც ქუთაისის სასწავლებლებია ზრდის და ამის მიწეხით თვითონ ათასგვარ გაჭიარების და წვალებას ეტადრდებიან. რა დედა მადლა და სსმართლანობა ეტადრდებიან, რომ ერთ-ერთის მთვანის შეხედომოდა ეს ადგილი მაგრამ ეველას ვირში ღვალო გამოავლო ერთში უშვილო მღვდელმა ა. ნიკოლაძემ, რომლისთვისაც ეს ადგილი თავ-შესაქრვე ადგილად უნდა ჩითავალის, რადგან მისი ქუთაისში ეადმოყვანის ვერების აუცილებელი სსჭიროებით არ არის გამოწვეული. სხვა უმირატისობა არც სწავლით, და არც ჩსკობით, შ. ნიკოლაძეს არ შქობას და არც აქვს. თუ, სსსხეში არ შიკილებთ ამ გარემოებას, რომ იგი გამოიხსნაის მესხელი ვლასიანთა გამოიციხელად და ვითომც რუსულით სემხანრელებზე უკეთ ლაშარავობს, როგორც ირწმუნებს ადგილობრთა მთავრობა დირს—შესანიშნავი და შეურყეველი სსბუთა! დემოტმ მშვიდობა მისცეთ მასიც და მის მრველსაც, ტუბილათ შვაბროთ ერთმანეთს. ჩვენ ეს არ ევშერს არც ერთისა და არც მეორისთვის. მხოლოდ აქ სულ სხვა სსკითხი ადგება ჩვენს წინშე და ამაზე ვესურს მივაჭიროთ შ. ნიკოლაძის უურადლებს.

დაიხიხას ხმა დადიოდა, უერ გადევ მამან, როცა მღვ. გ. დოლაბერიძეს მხოლოდ თხოვნა ქქონდა სსხეებსაუთი შეტანილი სობოროში გადაეყვანა, რომ შ. ნიკოლაძე ავტოტრისი ეწევა, ხელსში დადას და ხელს წყრინებოსო, ხოლო უგანსხელ ხსნებში დეიქებით ლაშარავობენ, ვითომც შ. ნიკოლაძემ ლელი ქრობებოთა და შურ-მარადით გაიტანა. „ხმა ღუთისა და ხმა ერისისა,“ ნათქვამ



მას. შეიძლება ესეც მართალი იყოს და სანჯაროა ამ სმების შემოწმება და გამოკვლევა. ეს ისეთი საზინდარი სმებია, რომ ამით ჩირქი ეტყება არა მარტო შირდად მ. ნაოლაძეს, არამედ მთელ იმერეთის სამეფოებელთა. ჩვენი ფიქრით, ყოველ შატოასნ კარს, და მით ფიქრს მღვდელს, სასარგსოდ და სათავილოდ უნდა მიანდეს ამ გგარი საქრეელი და არასოდეს არ უნდა დაიმდაზლოს თავი და შეურაცხოს თავისი ღირსება, რომ ასე საღანარკოთ გახდეს ხაღსში. შატოასნება და სინდისი ყოველთვის ონ უნდა იდგეს ქონებასა და მოხერხებასე. ამისათვის გულწრფელად ვუწმევთ მ. აეროთოზ ნაოლაძეს თავის შირდად და საზოგადოთ სამეფალობის შატოას აღსდგანთ გაანთილას ეს სმები, რითაც შეუძლია და თუ ასე არ მოიქცა, უნდა ეიფიქროთ, რომ სმები სრულებით მართალია და მშან რადაა იგი სინათლე, რასაცა ხაღაეს ბეკლია!“

Fanius.




კავკასიის უნივერსიტეტი.

დღეს მთელი კავკასიის მოწინავე საზოგადოება ერთი მისწრაფებათაა გამსჭვალული, რომ დაირსოს თფილისში უნივერსიტეტი სამეურნეო განყოფილებით. მართებლობა აქნამდის ნებას არ იძლეოდა, არა თუ უნივერსიტეტის, არაფერ უმაღლეს სასწავლებლის დაარსებისას, დღეს კი, როგორც სჩანს ნებართვას არ გვიკავებენ, მაგრამ საშუალებას კი არაფერს ვეძღვევან. რა თქმა უნდა, ესეთი პატივისცემა მართებლობის მხრით პირველი არ არის

ჩვენ თავზე. ჯერ კიდევ განსვენებული ყოვლად-სანდვდელია გაბრიელი იტყოდა ხოლმე, ჩვენ რუსების გეგბრი ვართო. დღეს გერებათაც აღარ მივანნივართ და ამიტომ ჩვენ თავს ჩვენვე უნდა მოუვართო, ჩვენ მომავალზე ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ და ვიფიქროთ. უნივერსიტეტი რომ საქიროა კავკასიისათვის, ამაზე ლაპარაკი მეტია და თუ უნივერსიტეტთან სამეურნეო და სამთო განყოფილებები იქნა ეს ხომ დაუფასებელი რამ იქნება ჩვენი მომავლისათვის, აქ მხოლოდ და მარტო საშვალეობაზე უნდა ვიზრუნოთ.

დღეს-დღეობით ქალაქ თფილისისაგან, სხვა ქალაქთა და სხვა და სხვა პირთაგან მოსალოდნელი ერთ ერთეამიერი შეწირულება გამოიხატება 2,270,500 მ., ხოლო ყოველწლიური 51,300 მ.

ეს თანხა, როგორც იტყვიან, ალამსაც არ მოუკლავს უნივერსიტეტს. ამიტომ ყველა შეგნებული მამულიშვილი ვალდებული ვართ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ კულტურულ საქმეში და შეძლებისა და გვარად ხელი შეუწყოს მის მალე განხორციელებას. სამღვდლოება, როგორც ერთი მოწინავე წოდებათაგანი ჩვენი სამშობლო მხარისა, მოვალეა თავის მხრით ხმა ამოილოს და უნივერსიტეტის გახსნას ხელი შეუწყოს ნივთიერად. ამიტომ მეტი არ იქნება სამღვდლოება მოილაპარაკებდეს ამის თაობაზე საბოლოოჩინო კრებებზე და დაავალბდის თავის წარმომადგენლებს მსჯელობა იქონიონ საგვარჯიო კრებაზე უნივერსიტეტის შესაფერ შეწირულების გამოღებაზე. ნუ დავივიწყებთ, რომ სამღვდლოებას შვილები ამ ვაშათ უმეტეს ნაწილით უნივერსიტეტებს ეტანებიან თითველმა მღვდელმა, რომ იმის ნახევარი გამოილოს, რაც მის ერთ შვილს ზედმეტი გზის ქირა დასჭირდება ოთხი წლის განმავლობაში რუსეთის ერთ ერთ საუნივერსიტეტო ქალაქმდლი, სრულიად საკმაო შეწირულება იქნება ისეთი ღარიბი წოდებისაგან, როგორც არის სამღვდლოება.



გული დამწყდა!

(გერძო მასწავლებლის დღაურიდან)

13 მაისი. დღეს ერთ ნაცნობ კნენისათან შევედი. ბევრი რამეები ვილაპარაკეთ ჩვენ ჩვენ საკუთარ კირვარამზე და ბოლოს კნენიამ რჩევა მიხვოვა, თუ რომელ სასწავლებელში მიეცა თავის ახლო ნათესავი ობოლი ბავში და თან მომზადებაც მიხვოვა. მე, რა თქმა უნდა, სააზნაურო გიმნაზიაზე მიუთითეთ, როგორც ერთ საუკეთესო სასწავლებელზე. „ეარგია, მითხრა კნენიამ, მაგრამ მე ისევ კერძო გიმნაზიაში მიჩვევნი; ვინ იცის ეგ ჩვენი სააზნაურო გიმნაზია აზნაურებივით. რიყეზე დარჩეს და ხვალ ზევით დაიხუროს, ხომ იცი, ჩვენ დაწყებულვბას არაფერს მკვიდრი საფუძველი არ უდგია.“ გული რაღაც უსიამოვნოდ შემიტოკდა; ვფიქრე, ნუ თუ კერძო გიმნაზიის უფრო მყარი ნიადაგი აქვს ფეხ-ქვეშ ვიდრე სააზნაუროსმეთქი და ცოტა ხნის შემდეგ მოვახსენე: კერძო გიმნაზიის წინამდღეი მე არმფერი მაქვს, განსაზღვრულ სწავლას იქაც მიიღებს ბავში, მაგრამ გული მტკიავა, კნენიავ, თქვენ სიტყვებზე, რათ ბძანეთ, რომ ეს ერთათ ერთი ქართული დაწესებულება დაგეხებურება? თავდაზნაურობა? ბანი? ჰირველი აღარ არსებობს იყო პასუხი, ხოლო მეორე იქ მოსამსახურეთა თავშესაფარად და სასმელ-საქმელთა გადაიქცა. აბა წარმოიდგინე, რაში გამოიხატება ჩვენი თავდაზნაურობის არსებობა, რას აკეთებს იგი დღეს ან თავისთვის და ან ქვეყნისათვის? უწინ, როცა უმთავრესათ მისგან სდგებოდა სამშობლოს დამცველი რაზმები, კიდევ აზრი ჰქონდა მის არსებობას. დღეს?... ბანი?... იგი დღემდის ცოტათ მიანც ეხმარებოდა ხალხის კულტურულ წინსვლას ამ ჩვენი სასწავლებლის ნივთიერი დახმარებით. დღეს რას გვარგია ჩვენი ადგილ-მამულის და ყოფა-ცხოვრების

ყლაპია ბანი? რას გვიკეთებს? რომ არ ყოფილიყო იქნებ მუშაობას მიანც დაეწყებლით ჩვენ მიწა-წყალზე. და კიდევ თავდაზნაურობის ბანს ეძახიან! ვისიც ვცნდა მისია და არა ჩვენი, ჩვენი მხოლოდ სახელით არის, ჩვენ სალაყბით და საჭირ-ბოროტით გაჩენილი. საწყენია და სათაკლო, რომ ჩვენი ჩვენ არ გვხმარდება. გასაკვირველი კიდევ ის არის, რომ ჩვენში სხვა ბანკები მდიდრდებიან და ჩვენსას კი იმდენი ვერ მოუხებრებია, რომ ერთი საცოდავი შკოლა შეინახოს. არა, ისევ კერძო გიმნაზიაში მომიზადე!“ დიას! საწყენია და სათაკლო! გული მეწვეს სიმპატიურ დაწესებულების მოსაზრებზე. დმერთმა ნუ ინებოს!

გერძო მასწავლებელი.



დმერთმა წყალობა გამოგვიგზავნა.

(მთხრობა რუსულიდან).

ღარიბულით მორთული კაბინეტში სტოლს მისჯღომოდა ფერმკრთალი და მეტის-მეტად გამსღარი ასე ორმოცი-ორმოცდა ხუთი წლის კაცი. სიღარიბეს და ათასგვარ ჭირ-ვარამს მისი ოდესღაც შავი თმა უღროოდ გათეთრებია. იჯდა თვალზე დახუჭული გახუნებულ სავარძელში და მისცემოდა ღრმა ფიქრებს. და მართლაც ჰქონდა ჩასაფიქრებელი. ბედი მძიმე ტვირთს უზზადებდა. ორივე მისი ქალიშვილი ვარო თოთხმეტის და ზოია—ათი წლის ყველქივრებით იყვნენ ავით. მათ ზედ მიემატა დედა, რომელიც თავგამოდებით უვლიდა ავად-



ძყოვ ქალიშვილებს. ამ ნაირად სავი მისთვის უძვირფასესნი არსებანი სამარის პირად იყვნენ მისულნი და სულს დაფავდნენ.

იღბანს იჯდა ჩაფიქრებული დატაკი მამა-ქმარი. ბოლოს კარგის ქრიალმა და რაღაცა შრიალმა გამოაფხიზლა და გააღო თვალები. კარებში იდგა მხარეული ქალი

—რა გინდა პარასკევა? ჰკითხა მან მხარეულ ქალს.

—ნიკანდრ პეტროვიჩი! მიბრძანდით, ბატონო, საწოლ ოთახში! ქალბატონმა თითქმის სრულიად შეწყვიტა სულთქვა...

შეზლილივით წამოვიარდა ხეზე ნიკანდრ პეტროვიჩი და შევიდა საწოლ ოთახში. ოთახი ისე პატარა იყო, რომ ძლივს ეტყოდა ორი ტახტი—ერთი ვიწრო და მეორე უფრო ფართო. ვიწროზე იწვა ცოლი ნიკანდრ პეტროვიჩისა და უფრო ფართოზე მისი ქალიშვილები.

ნიკანდრ პეტროვიჩმა გადახედა ბავშვებს და მივიდა ცოლთან, დააყურა, მაგრამ სუნთქვა ვერ შეაჩინა. მამა გაუსინჯა და ძლივს სცემდა; გულზედ დაადო ხელი და ძლივს ფეთქდა.

—როგორ არის ბატონო? ჰკითხა იქვე მდგომმა პარასკევამ.

—ცოცხალია, ცოცხალი! ჩემთა უპასუხა ნიკანდრ პეტროვიჩმა, მაგრამ მისი ხმა მინც ჩაწვდა ავადმყურს და მანაც განიმეორა: „ცოცხალია, ცოცხალი,“ და მერე იკითხა ბავშვები და ხელ ახლავ გამოუტყვევ მდგომარეობაში ჩაყარდა. ბავშვები კი იწყნენ წყნარათ; მაგრამ პირისახეზედ სიმშვიდე არ ეტყობოდათ და თუ არ შფოთავდნენ ეს იმიტომ, რომ მეტის-მეტად დასუსტებული იყვნენ.

—დღეს ექიმი მოვა თუ არა! ჰკითხა ხელახლა პარასკევამ.

—არ ვიცი, მე მივსწერე... ვსთხოვე... მაგრამ რადგან ატყობს რომ მისაცემი არაფერი მაქვს თავსაც აღარ იწუხებს. მინც და მინც ძვირათ დაღის და შეიძლება ამას იმიტომაც დასადიდეს, რომ საიმედოს ვერცერთი ვერ ხედავს.

—არავინ არს შემწე გარდა ღვთისა.

ამაზედ ნიკანდრ პეტროვიჩის არაფერი უპასუხნია და ვითომ არც კი გაუგონია. ის იყო ურწმუნო კაცი და ცხანდა ღვთის მოწყალეობის იმედი არ ექნებოდა. საწოლ ოთახიდან გავიდა ფეხ-აკრფით თავის კაბინეტში, ჩაჯდა თავის გახუტებულ სავარძელში და მიეცა მწარე ფიქრებს.

ნიკანდრ პეტროვიჩი მსახურებდა ერთ კერძო კანტორაში, რომელიც მოთავსებული იყო იმავე სახლში, სადაც მისი ალა სტოვროვმა და როცა ნიკანდრ პეტროვიჩმა განუცხანდა მას თავისი მდგომარეობა, აღმა დიონიზოვა ის დროებით, მისცა წინადაწინ ხუთი თუმანი, შეპირდა ადგილის შენახვას და თავის მხრივ სთხოვა არ გამოეგზავნა მისთვის არც წერილი და არც მოსამსახურე, რომ სახალი არ გამოყოლოდა.

აღსივან მიღებული ხუთი თუმანი ცხანდა დიდ ხანს არ ეყოფოდა ნიკანდრ პეტროვიჩს. ამიტომ დააგირავა საათი, ვერცხლის კოვებები, ბეჭდები, ბავშვების ტანისამოსები, მაგრამ არაფერმა არ უშველა, ფულს ნთქავდა აფთიაქი, ექიმი, ცოლშვილის მოვლა-პატრონობა და სხვა ათასი მოთხოვნები.

—კიდევ მადლობელ ვარ პარასკევასი, რომ არ წავიდა, კეთილი დედაკაცია. თორემ სხვა მის ალავს ერთ დღესაც არ მოიცილდა, და ეს კი არა თუ არ მიღის, პირიქით თავგამოდებით უფლის ავათყოფებს...

ნიკანდრ პეტროვიჩში მოხდა ღრმა ცვლილება მის ოჯახში სახალის გაჩენის შემდეგ. ის იყო ნასტიკი და მკაცრი ხასიათის კაცი, თავის ოჯახობისთვის იყო დესპოტი, უყვარდა ებატონა და უყვარდა; რომ ყველის ის ოჯახის თავათ ეცნოთ. ძვირათ ნახავდით გაცინებულს, სულ მოღუშული იყო, ბუზღუნობდა და ამიტომ მის ცოლშვილსაც შიშის ქარს ჰქონდათ ავარდნილი, ვის შეეძლო ან ხმა მალლა ლაპარაკი, ან სიცილი, ან თამაში.

უყვარდათ თუ არა თვითონ ნიკანდრ პეტროვიჩი?

ღიას, ის უყვარდათ მიუხედავათ მისი ცუდი ხასიათისა. ხანდახან, თვეში ერთხელ,

იმისანა საათებიც გამოერეოდა, როცა ნიკანდრ პეტროვიჩიც სულ გამოიციკლებოდა და გაიღიმებოდა ხოლმე. მაშინ ყველაფერი სახლში იღიძმებდა, ცოცხლდებოდა და მხიარულობდა. ანგებდნენ თავს ფეხის თითებზედ სიარულს და ნებას აძლევდნენ თავისთავს ეცივათ და ეხარხარათ.

ეხლა ნიკანდრ პეტროვიჩისთვის საშიშარა და აუტანელი იყო იმისი ფიქრიც კი, რომ შესაძლებელი ყოველივე ეს გაქრეს, გაქრეს საუკუნოდ და შეიძლება დღეს ან ხვალ, ან ერთი კვირის შემდეგ მისი ბინა დაკარიელდეს და მის წინ აღმართოს საკითხი: „აწი კი რა ვქნა?“ ნუ თუ ეს ისევ მარტო-მარტო, ისევ ცარიელ-ტარიელი უნდა დარჩენილიყო, ეს ხომ მისთვის შეუძლებელი იყო...

მოსამა ზარის ხმა, „ვინ უნდა იყოს? ნუ თუ აქიმა?“ ნიკანდრ პეტროვიჩი არ მოტყვილებულა. მოვიდა მართლაც აქიმა.

— აბა რა ამბავია, როგორ არიან? ჰკითხა მან ხელების სრესით ნიკანდრ პეტროვიჩის.

— აბ ვიცი მაგრამ ძალიან ცუდათ კი უნდა იყენენ, — მიუგო უკანასკნელმა.

— ავთმყოფობის რომელი დღეა? ნიკანდრ პეტროვიჩმა მიუგო.

— ააა. დიხ, დიხ, ენახოთ, ენახოთ და გაემართა საწოლ ოთახისაკენ.

მთელი ნახევარი საათი სინჯა ავთმყოფები აქიმა და დიდათ უკმაყოფილოდ ჩილა-პარაკა: „ძალიან ცუდათ არის საქმე“. როდესაც თავის საქმეს მორჩა, კაბინეტში გავიდნენ და ნიკანდრ პეტროვიჩმა ჰკითხა აქიმს წამლებს გამოუწერდა რამეს თუ არა.

— არა, ძველი წამლები ახმართ, უთხრა აქიმა და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაუმატა: „რა ვქნათ, სანუგეშო არაფერია!“

— მოკვდებიან? როგორღაც მშრალად და უგრძობლად ჰკითხა ნიკანდრ პეტროვიჩმა. ისეთი კილოთი იყო წარმოთქმული ეს საბედისწერო კითხვა, რომ კაცს ეგონებოდა მკითხველისთვის სულ ერთი უნდა იყოსო, მაგრამ ნიკანდრ პეტროვიჩის თვალებიდან დაბალეუპით

მოკვივოდა ცრემლები, რომლების დანახვამ სიბრაღულით ალუგოა გული აქიმს.

— ეეე, უკვე იხოცებიან რაღა! აღერსიანათ უთხრა ექიმმა. მართალია საიმედო ცოტა რამეა, მაგრამ მე ამ იმედსაც არ ვვარგავ შეიძლება ვაღაიტანონ. იქნება გნებავთ და რომელიმე ექიმთაგანი კიდევ მოიწვიოთ რჩევისათვის?

— არა, აქიმო, მე თქვენთვისაც ვერაფერა მომიცია ჯერ, — რადგანაც ეხლა არაფერი მამადია და როგორ შემძღვია სხვებიც შეეაწუხო;

— დანებეთ უბრალოზედ ლაპარაკს თავი. გავწორდებით. მე ვსთხოვ ჩემ ამხანაგს, რომ მოვიდეს, ნურაფერზედ ნუ შეწუხდებით. ხვალ მოვლთ ჩვენ... უთხრა აქიმა და წავიდა.

და ხელ-ახლავ მარტო-მარტო დარჩა ნიკანდრ პეტროვიჩი თავისი ფიქრებით და ჯავრით, რომლებიც გულს უღრღნიდნენ საცოდავს.

დანელებისას შემოვიდა პარასკევა და ნიკანდრ პეტროვიჩის ჰკითხა, სკამდა რამეს თუ არა.

— არა პარასკევა, ყელში არაფერი გადადის.

აბა ვაისეირნეთ ბატონო ცოტა ხანს, მადას მოგგერისთ სიარული. ასე როგორ შეიძლება. თქვენც რომ ლოცინათ ჩავარდეთ, მაშინ რა გვეშველება!

— გავლით კი გავვიღიო ცოტა ხანს, მაგრამ სახლში ვინ დარჩება და ვინ მიხედავს ავთმყოფებს?!

— სახლში მე დავრჩები. დიღხანს არც თქვენ დარჩებით სასეირნოთ. ნიკანდრ პეტროვიჩი დათანხმდა და წავიდა.

გავიდა თუ არა ქუჩაში მას მოესმა გაცხარებული ზარების რეკვა. უწინ ის ამგვარებს ყურადღებას არ აქცევდა და ეხლა კი შეჩქვდა.

— რატომ არის ასეთი გაცხარებული რეკა—ჰკითხა მან მეხილეს.

— ნუ თუ დავაგვიწყდათ? ეხლა ჯვარის გამოსვენებაა.

და უცხათ ნიკანდრ პეტროვიჩს მოაგონდა თავისი ბავშვობა და სიყმაწვილე. ღმერთს და ეკლესიას ის სიჭაბუკიდანვე განშორდა და ეხლა ისე მიიზიდა ის რაღაცამ ეკლესიაში, რომ თითქმის სირბილით მივიდა ტაძარამდის და შევიდა შიგ. ყველაფერი განათებულია. მოისმის ვალობა: „ჯვარსა შენსა თაყვანოცემთ, მეუფეო“!

„ჯვარსა, ჯვარსა!“ ჩაილაპარაკა თავისთვის ნიკანდრ პეტროვიჩმა და უცხათ მასი გონების თვალწინ ცხადით წარმოადგა მთელი ის გზა, რომელმაც მიიყვანა ქრისტე ჯვარამდის და მისი გაბოროტებული გული დამშვილდა.

და თითქმის გაიგონა ნიკანდრ პეტროვიჩმა სიტყვები ქრისტესი: „მოვედით ჩემთან ტვირთმძიმენო და მაშვარალნო და მე განგისვენებთქვენ“. და ისიც მივიდა, ისიც მოუბრუნდა ქრისტეს.. ტირიდა გულამოსკვნილი და როცა მივიდა ჯვარის სამთხვევად, მოგლიჯა და წაშოლო ანალოლიდ ე სამი ყვავილი, და წამოვიდა სახლში.

როდესაც ავთიმოფებსას საწოლ ოთახში შევიდა, ნიკანდრ პეტროვიჩმა რაღაცა ბავშვური სიმზიარულით და იმედით წარმოსთქვა: „ღმერთმა წყალობა გამოგვიგზანა!“ და თვით თვით ავთიმოფეს თითო ნაქურთხა ყვავილი დაუდგა სასტუმალს. მერმე გამოვიდა ოთახიდან, შევიდა თავის კაბინეტში და ჩაჯდა გახუნებულ სავარძელში. ყველაფერი გამოცოხლდა მის თვალ წინ, მთელი მისი სხეული მოიკცა სარწმუნოებამ და გულში გაელვობა სიყვარული გაქვირებულთაღმძი. ბოლოს წყნარად წარმოსთქვა: „უფალო მოეხმარე ჩემ ურწმუნოებას“!, გადიწერა სასოებით პირჯვარი და დაუმატა „იყოს ნება შენი“!

მთელი ღამე ნიკანდრ პეტროვიჩს არ ძინა და უვლიდა ავთიმოფებსას გათენებისას

ჩაეძინა და მხოლოდ მაშინ გამოიღვიძა, როდესაც იგრძნო, რომ მას აღვიძებდნენ მის წინ იღგა პარასკევა.

— რა იყო, რა ამბავია? ჰკითხა შეშინებულმა ნიკანდრ პეტროვიჩმა.

— რა და ვარია გრძნობაზედ მოვიდა და, როგორც ეტყობა, ზონიკაც კარგათ არის...

ნიკანდრ პეტროვიჩი დაეცა მუხლებზედ მაცხოვრის ხატის წინაშე და... აქვითინდა...

მლ. სევ. კეკელიძე.



ვ. კ. საბლერის წინაშე.

გაზ. „Утро Россіи“-ის თანამშრომელს ულაპარაკნია ახალ ობერ-პროკურორ ვ. კ. საბლერთან, რომელსაც შემდეგი უთქვამს:

— თითქმის ყველა რუსულ გამოცემების თანამშრომლები მთხოვენ გამოვაცხადო ჩემი მომავალი მოქმედების გეგმა, როგორც სინოდის ობერ-პროკურორისა, მაგრამ მიუხედავად ჩემი პატივისცემისა ბეჭდვითი სიტყვის მიმართ, არ შემიძლია დავაკმაყოფილო მათი სურვილი. საქმე იმაშია, რომ ობერ-პროკურორი სულ სხვა გვარ მდგომარეობაში მოქმედობს, ვიდრე მისი ამხანაგები მინისტრთა საბჭოში. იგინი თვით არიან თავიანთ უწყებების პოლიტიკის მოამბრავებლნი და შეუძლიათ ეს თუ ის მიმართულება მისცენ საქმეს თავის სურვილისამებრ, ხოლო სინოდის ობერ-პროკურორი რამოდენიმე დამოკიდებულია სინოდისაგან, რომელსაც შეუძლია არც კი მიიწიროს მისი წინადადება.



— მაგრამ რაიმე პროგრამა უფოთ გე-
ქნებათ?

— წარმოიდგინეთ, რომ პროგრამაც, ამ
სიტყვის იწრო აზრით, მე დღეს არ მაქვს. მე
დავისახე მხოლოდ ერთი მიზანი—სარგებლობა
ეკლესიისა და სამშობლოსი, ხოლო როგორ
უნდა ვიმოქმედო ამ მიზნის მისაღწევათ, ამას
თვით ცხოვრება მიჩვენებს. რას იტყუდით იმ
ეკიპოზე რომელიც საერობო სამსახურში წასვლამ-
დის აკხადებს რომ იგი თავიდანვე შეუდგება ქლე-
ქით ავთომოფებისთვის სანატარიის მოწყობას?
მას ეტყოდნენ, რა თქმა უნდა, რომ სანატო-
რია თავის-თავად კაი რამ საქმეა, მაგრამ თუ
მის რაიონში გადამდები სენი რამ ბუდობს,
უფრო სასარგებლო იქნება, რომ ჯერ ამ უკა-
ნასკენის მიაქცევდეს ყურადღებას.

აი რატომ გაურბი მე დაწვლილებით შე-
მუშავებულ პროგრამას, რადგან ცხოვრება
სულ ერთია თავისებურათ სკკლის მას.

— საზოგადო ხასიათი თქვენი მომავალი
სამუშევრებისა მინც ხომ ცხადით გექნებათ
დასახული?

— უეჭველათ. მე მომხბვრ ვარ აზრიანი
(Здравый) კონსერვატიზმისა. რათ უნდა ვე-
ძებოთ რაღაც გამოუცდელი ფორმები, რომ-
ლებიც სარგებლობას მოგვცინენ თუ ზარალს,
არ ვიცით, როდესაც, გვაქვს ისტორიულათ ნა-
ცადი ფორმები, რომლებსაც მშვენიერად შე-
დგები მოუცილა. თუ ეს ფორმები მოძველდნენ
უნდა განვიახლოთ, შეუფეროთ, შეუხამოთ ცხო-
ვრებას, როცა თქვენი სახლი დაძველდება,
თქვენ მას შეაკეთებთ, გადააკეთებთ, ხოლო
კი არ ცდილობთ ბინა დაყრილ სიღის ქვეშ
გაიყოთ.

— ამბობენ, შენც კ. პ. პობედნოსცე-
ვის კვალს გაჰყვები?!

— ჩემი ზემო მოყვანილი პასუხი, განგი-
მარტავსთ ამ იქვსაც. კ. პ. პობედნოსცევი
იყო კაცი იშვიათი სახელმწიფო ქვეყნისა. ამას
მისი მტრებიც კი აღიარებენ. ამიტომ მის იდე-
ებში ბევრი რამაა ძვირფასი და სასარგებლო.
რათ არ უნდა ვისარგებლოთ ამ ძვირფას მ-
სალით იმას გამოკლებით, რაც ცხოვრებისგან

უკვე დაწუნებულია? ჩემთვის პირადად ძვირ-
ფასია შინაარსი და არა იარაღი—სახელწო-
დება.

— როგორი იქნება თქვენი დამოკიდე-
ბულება ჩვენ უმაღლეს საკანონმდებლო დაწე-
სებულებებთან—სახელმწიფო საბჭოსა და სა-
ხელმწიფო სთათბიროსთან?

— მე მგონია ეს დამოკიდებულება საკმა-
ოთ განისაზღვრება უკვე მით, რომ მე მაქვს
უმაღლესი პატივი ვირიცხობოდე ერთ-ერთ
ამ დაწესებულებათა წევრათ. იმ საქმეებში,
რომლებიც ექვემდებარებიან პალატებს, მე,
როგორც ჩემი წინამოაოჯრეები, მოვალობათ
დავიდგენ მივიქცე მათდამი წინადადებით და
შუამდგომლობით, ხოლო იმ საქმეებში, რომ-
ლებიც მხოლოდ საეკლესიო მმართველობას
ექვემდებარებიან, მე, რა თქმა უნდა, მივიქცევი
მხოლოდ ამ უკანასკნელისადმი, და, კიდევ,
როგორც ჩემი წინამოადგილები, ყოველ კა-
ნონიერ ზომებს ვიხმარ დავიცვა მისი პოლი-
ტიკა.

— როგორ უყურებთ თქვენ საეკლესიო
კრებას, რომელიც ასე სწყურია სამღვდლო-
ებას?

— ჩემი აზრი ამ საკითხის შესახებ საკმა-
ოთ ცნობილია ყველასგან. გთხოვთ გაიხსე-
ნოთ, რომ უმთავრესი მიზეზი ჩემი სინოდში
სამსახურის თავის დანებებისა, იყო დამოწმე-
ბა ჩემი საკუთარი ხელის მოწვერთ სინოდის
სიგელისა შესახებ სრულიად რუსეთის ადგი-
ლობრივ კრების მოწვევისა. მას აქეთ ჩემი აზრი
არა თუ შეიცვალა, არამედ უფრო განმტკიც-
და, და მე სამღვდლოებასთან ერთათ ვოც-
ნებობ, რაც შეიძლება ახლო მომავალში, ამ
კრების მოწვევაზე.

გარნა თქვენ იცით, რომ ამის განხორ-
ცილება დამოკიდებულია სხვა და სხვა პირო-
ბებზე, და ჩემი პირადი სურვილი აქ ძლიერ
უმნიშვნელო როლს თამაშობს.

ამის მიხედვით შემიძლია ერთი ვსთქვა:
თუ საკითხი საეკლესიო კრებისა დაიძრა იმ
აღგილიდგან, რომელზედაც უკვე ექვსი წელი-
წადი სძვს, მე არა თუ იმ პირთა რიცხვში

ვიქნები, რომლებიც საქმეს აბრკოლებენ და უშლიან ურპის თვლებს თავისუფალ მოძრაობას, არამედ ყოვლის ღონის ძიებით დავებმარები ამ ურპისთვლებს მიგორდენ სასიკეთო მიზნამდის ეკლესიისა და რუსეთის საკეთილდღეობათ.

(Утро Рос.)



1)

„ზინაურ საქმეები“-ს მეთერთმეტე ნომერში ხელის ფსევდონიმით მოთავსებულია შემდეგი წერილი: „საზოგადოთ ქუთაისის ეკლესიებში არ ახის გალობა და მედაიოთნეები გულ-საკლავათ ღიღინობენო“ და კერძოთ ეხება ქუთაისის საკათედრო ტაძარს. აქო, ამბობს ავტორი კიდევ რაღაცას გავდა გალობა და დღეს კი იგი მოკლებულიაო ყოველივე გარმონიას, ასე რომ გალობა წაავას ლოთების ბაიათსო, ამას სასულიერო მთავრობამ უნდა მიაქციოს ყურადღება; აღდგომა ღამეს მთვრალი კაცებივით გალობდენ და ვისურვებო, რომ გაისათ ის ლოტბარი არ ყოფილიყოს.“ აგრეთვე იმასაც დასძენს, რომ არქიელის ხორი 1600 მანეთს იღებს, რომ როგორც გავიგე 1200-სო. სჩანს ხელის მსჯელობიდან მას სრულიად არ სკოდნია საქმის ვითარება. ეს იქიდან სჩანს, რომ ის ხან იმას ამბობს, რომ არქიელის ხორი 1600 მანეთს იღებსო და ხან იმას, რომ 1200-საო, ეს ორივე სინამდვილეს მოკლებულია. გარდა ამისა ხელი ამბობს, რომ

1) ვებტავთ ამ წერილს სრულიად უცვლელათ ყოველივე თავის ღიღინება ნაკულუფენებოთ.

404.

აღდგომა ღამეს დავესწარით და გამოვრალე-ბულივებით გალობდენო, როგორც სჩანს უსაფუძვლო სჯაბასია. დამთვრალი თვითონ ხელი ბრძანებულა, რადგან სრულიათ ვერ გაურჩევია ის, რაც ტაძარში ხდებოდა მას რომ მართლა მუსიკის რამე კოდნოდა, გაიგებდა, თუ როგორ პირობებში მოქმედობს არქიელის ხორი; ავტორი წერილისა ლოტბარს აგინებს... ამა მეტს ჩვენ ქართველობა რას უნდა მოველოდეთ ერთი მეორისაგან თუ არ გამხნეების ნაცვლათ გინებას, ლანძღვას, ჩაწიხვლას. ქართველებს მეტი რა შერჩენია თუ არ ერთმანეთთან შტრობა კინკლაობა: ამასვე ჩვენს ისტორიაში ყოველ ნაბიჯზედ შეხვდებით. ლოტბარმა რა უნდა ქნას. იგი, ყმარწვილი კაცი, მუსიკალური ნიჭით სავსე, (sic!) სკდილობს, მთელს ენერგიას აღევს, მაგრამ ძველი თავის მოადგილედან მექთა ხორებით სავსე ხორი, ჯერ კიდევ ვერ დააყენა თავის გემოზე, რადგან ხელის შემწვლი ბევრი ყავს. ახალ გაზრდა ლოტბარი ექვს გარეშე შრომობს. მან ხორის ახალი კონცერტი დაასავლა „Сый(?) язычы“ რომელიც სობოროში რამდენჯერმე სთქვეს და ჩინებულათ ჩაატარა და თვითონ არქიელის სახლშიდაც აღდგომის მეორე დღეს და ვისაც კი მუსიკა ესმოდა, უთუოდ მოეწონებოდა; გარდა ამისა ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან შეასწავლა ხორის სლოვიანური „СВѢТЕ ТИХИИ“, რომელიც ხორის წინათ არ სკოდნია; ეხლა შეუდგა ქართული წირვის შესწავლას; ამისთვის მან მიმართა მოკლენ პირებს და მათგან ღიღინის გაქვირებით იშოვა ქართული ნოტები ოთხ ხმაზედ გადაღებული, იგი ენერგიულათ შეუდგა მათ შესწავლას, მოვალ; ჯერ მან ხორის რომელი ქერუბიმთა დაწყებია შემდეგ კი სხვა სავალობლების სწავლებას შეუდგება ლოტბარი კიდევაც ნოტებს შოულობს, კიდევაც სწერს და კიდევაც ასწავლის; აი რამდენი შრომა აწევს მას და იმის მაგივრათ, რომ მ-მა ხელმა უსურვოს მას ენერგია და შრომის გაორკეცება, მას სურს, რომ ეხლავე ჩაჰყლას მასში ეს

ენერგია, მაგრამ ის საკათედრო ტაძარშიდაც რომ არ იქნეს, სხვაგანაც გამოიჩენს, თავის მუსიკალურ ნიჭსა და კოდნას თუ შეიძენს, თორემ არ დაჰკარგავს მას, მხოლოდ სირცხვილია მისი, რომ ახლად აყვავებულ ვარდს ძალით დაქნობას უქადის. მე კი უსურვებ ახალგაზრდა ლოტბარს, რომ ის ხორა, რომელშიდაც მანეე შეჩენილი ელემენტები არის, განწმენდილიყოს მომავალში, რათა დამყარებული იყოს სრული დისციპლინა და წესიერება...²⁾

ხორისტა



წერილი სოფელ კორბოულდიან.

(წყობა ამერეთი)

დიდ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება ამ ქაზად ჩვენი სოფლების მცხოვრებნი, ვინაიდან დიდ სიღარიბეში არიან ჩაფლულნი და არ იციან თუ რითი გაართვან თავი ან ამღონ აუაზებელ გადასახადებს და ან თავისი ცოლშვილის შემოსევა-გამოკვებას. ამათი გაჭირვებით ვინ არ სარგებლობს: ჩაჩჩი, მევახშე, ვაჭარი და სხვა ჩაღის ფასად აცლიან მათ სარჩო-საბადებელს ხელიდან და იმათ გადატყვებას ხელს უწყობენ. აი ამისათვისაა საქირო, რომ ხალხის გულშემატკიავარა ყოველ

ღონეს უნდა ხმარობდეს, რომ ამ სენს რაიმე წამალი გამოუნახოს და ხალხს მიეშველოს. დიხ! ხალხი შველას საჭიროებს და ამას უნდა მიექცეს ამ ქაზად უმთავრესი ყურადღებაც. ყველასაგან ცნობილია, თუ რა სიკეთეს მოუტანს ხალხს კომპარტიული (სასოფლო-საამხანაგო სავაჭროები) ამხანაგობები, მაგრამ ამას ხომ ფული უნდა, ურომლისოთაც არასფერი არ გაკეთდება. ამიტომ უზირველესი ყურადღება უნდა მიექცეს პირველ ხანებში წვრილი კრედიტის ამხანაგობების დაარსებას სოფლებში, რომელიც ადვილებს ფულის შოვნას მკირე სარგებლით სახელმწიფო ბანკიდან (თვეში თუმანი 5 კაპეკად).

რა არის წვრილი კრედიტის ამხანაგობა? ვისაც ამ დაწესებულების ვარემოება უნდა ვრცლად გაიგოს, იმათ ურჩევთ წაიკითხონ 1909 წლის დეკემბრის 30—31 რიცხვების „სახალხო გაზეთის“ ნომრებში მოთავსებული წვრილი შემდეგი სათაურით: „სად უნდა იშოვოს გლეხმა მეურნეობაში საჭირო ფული?“; ან უნდა გადაამთვარიგლოს „სამავალითო წესდება“ წვრილი კრედიტის დაარსებისა სოფლად, უმაღლესად დამტკიცებული 7 ივლისს 1904 წელს.

სულთა და გულთ შეწუხებულმა ხალხის უნუგეშო მდგომარეობით, აგერ ერთ წელზედ მეტია, რაც მხნეთ მოვკიდე ხელი ამ დაწესებულების განხორციელებას ჩემდამო რწმუნებულ კორბოულის სამრევლოში და მის მახლობელ სოფლებში. ვსძლიეთ, ღვთით, ყოველივე დაბრკოლებას და ამხანაგობის მსურველთ 240 კაცამდის მოუყარეთ თავი. აპრილის 15 რიცხვებში მოაბრძანდა სოფელ კორბოულში მთავრობის ინსპექტორი, თავადი ზ. მიქლადე საჭირო ცნობების შესაკრებად, რომელიც უკვე წაოუდგინა მთავრობას დასამტკიცებლად. შეგვიბრდენ პირველ ხანებში 7500 მანეთის მოცემას, რომელსაც ამ 1-2 თვეში უკვე მივიღებთ და დავიწყებთ მოქმედებას.

ყველას, ვინც კი ამ ფრიად სასარგებლო საქმის დაარსებას განიძრავებს, ჩვენ დიდის სიამოვნებით დავეხმარებით საჭირო წესდებე-

2) ხელის პასუხი ბ. ხორისტის წერილის გამო უადგილობის მიზეზით შეთოხნეტე ნომრისთვის გადაიღვა.

ების მიწოდებით და ისე პირადი რჩევა-დარიგებითაც, თუნდაც ამ საქმის თაობაზედ მიწერ-მოწერაც დაჭირდეს ჩემდამო მომმართველ პირებთან. *)

მღვდ. გლ. მაჭარაშვილი.



ზიგლიოგრაფია.

რედაქციამ მიიღო ქართული „სახელმძღვანელო მართლმადიდებელ ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად“ თხზულება ა. პ.—სა (არ ვიცი, რათ არ აცხადებს ავტორი თავის სხეულს). საზოგადოთ ჩვენი საღვთის მეტყველო ლიტერატურა ღარიბია სახელმძღვანელოებით. თუმცა დღემდის გვაქვს ორი გამოცემა კატეხიზმოსი, კითხვა პასუხით დაწერილი, მაგრამ როგორც პირველი, ისე მეორე გამოცემა უხმარია, რადგან გაუგებარია და გაუგებრობაც იქიდგან წარმოსდგება, რომ პირდაპირი ნათარგმნია რუსულიდან, ასე რომ კონსტრუქციაც თითქმის რუსულია შიგ დაცული. ამისთანავე მთარგმნელებს ნაკლებათ სკოლიათ ქართული ენა. ამას გარდა კითხვა პასუხის ფორმა არ აკმაყოფილებს თანამედროვე პედაგოგის მოთხოვნებს. ამ მხრით ახალი სახელმძღვანელო პ. ა. პ.—ისა სრულიათ განსხვავდება ხსენებულ კატეხიზმობიდან. იგი მოთხორობი ფორმითა დაწერილი, თანამედროვე გასაგებ ენაზე დს სრულებით თავისუფალია

*) სასიამოვნოა და სასიხარულო ასეთი მოღვაწეობა მღვდლისა სამრევლოში. სამწუაროთ ბევრი არა გვაყავს ჩვენ წოდებაში ასეთი მოქმედი პირები, რით უფრო დიდი მადლობის ღირსია მ. გ. მაჭარაშვილი, რომელიც სამწუაროთ ავათმყოფობას დუპყრია და ამის გამო თვალი ქალაქისკენ უბირავს.

მონური მიზაძისგან. წიგნი სუფთადაა გამოცემული, შეიცავს 123 გვერდს და ღირს 50 კ. ჟრიგო არ იქნებოდა, რომ ამ წიგნის შექმნა დაევალებოდეს ეკლესიებს. წიგნი აუცილებელი საქიროა თანამედროვე სამღვდელლო კანდიდატთათვის მედავითნეთაგან.



პატივცემულო რედაქტორო!

უმორჩილესადა გთხოვთ ამ ჩემ მცირე წერილს დაუბოთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთის „შინაურ საქმეებს“ ფურცლებზე.

დიდას სიამოვნებით წავიკითხე შინაური საქმეების ის ნომერი, რომელშიდაც დასტამბულია ღია წერილი მღვდლის ბესარიონ ვაშაძისა ჩემდამი მომართული. როგორც წერილის სათაურიდანა სჩანს მღვდელი ვაშაძე მომართავს მე და მაშინდავე პასუხსაც ჩემგან უნდა ირხოვდეს. მაგრამ წერილის ბოლო სულ სხვა ნაირია: მე გვერდს მიხვევს და თანამომქმე მღვდელოებას სთხოვს თავისი პირუთენელი და სწორი აზრი გამოსთქვას ვითომ და ჩემი შეუფერებელი საქციელის შესახებ. ძალიან გამაკვირვა მისმა ასეთმა საქციელმა და დარწმუნებული ვარ, რომ ყველასაც, ვინც წაიკითხავდა ან აწ წაიკითხავს გაუკვირდებოდა და გაუკვირდება. როგორ არ უნდა გაუკვირდეს კაცს მისი ასეთი ანბანური ქეშმარიტების უცოდინარობა. მ. ვაშაძეს დღემდის არ ცოდნია, რომ თანამომქმე სამღვდელოებას არავითარი აზრის გამოთქმა არ შეუძლია, ვერავითარ ნუგეშს მას ვერ მისცემს და ვერაფრით მას ვერ ასიამოვნებს სანამ ჩემს აზრსა და შე-

ხელულებას არ გავცნობა იმ სავანზე, რომელიც მ. ვაშაძეს აუღია სალაპარაკო საგნათ. სამღვდლოება გამოსაქვამს აზრს შემდეგ ჩემი პასუხისა, თუმცა, როგორც ზემოთა ვსთქვი, ის ჩემგან პასუხს არ თხოვილობს და ან მათ შინ, უკეთუ მე პასუხი მას არ გავეცი, რადგან ჩემ სიწუმეს ყველანი თანხმობის ნიშნად ჩასთვლიან.

მე მზათა ვარ ამ თამადე მისი სიცრუე საზოგადოებას დაუმტკიცო, მაგრამ საქმე აი რაში მდგომარეობს: როდესაც მისმა საზიხლარმა მოქმედებამ იმდენად ამაღლევა, რომ მოთმინება შეუძლებელი შეიქნა ჩემთვის, მე მივმართე ამა მდგომარე წლის თებერვლის პირ. ველ რიცხვებში ქიათურის სასამართლოს მსაჯულს ბ. ნ. კ. რაზმაძეს და მისი პირით მღვდელი ვაშაძე საამხანაგო სამართალში გამოგაწვიე. მ. ვაშაძე დასთანხმდა, მაგრამ რამოდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც მოაწია ჩვენმა გასამართლების დრომ, მ. ვაშაძემ უარი განაცხადა საამხანაგო სამართალზე.


შემდეგ მისი უარისა მე გადავწყვიტე სხვა გზით მეგებინებია პასუხი მ. ვაშაძისათვის, მაგრამ სანამ ახალ გზას დავადგებოდი მას ხუთი კაცის პირით უკანასკნელი წინადადება მივეცი საამხანაგო წესით. გამომსწორებოდა და უკეთუ უარს შემომითვლიდა იმ შემთხვევაში თავისუფალი უნდა გყოფილიყავი ყოველივე საყვედურისაგან, თუ ვინცოცაა საქმე კულს მიმართულებას მიიღეს. ეს იყო 29 აპრილს. მოკიუტლებს ყოველივე გადაეცათ მ. ვაშაძისათვის და თანაც დაემატებიათ, რომ უკეთუ ვაშაძე უარს იტყვის კიდე, იმ შემთხვევაში საზოგადოებას უნდა, ვაცნობათ, რომ სწორეთ ვაშაძე ყოფილა ყველაფერში დანაშავე და რა თქმა უნდა საზოგადოება ჩვენ დავჯავრებს ყოველივესაო. მღვდელი ვაშაძე დღი ყოყმანის შემდეგ დასთანხმებულა შემდეგის პირობით: 1) მელიატორებათ უნდა იყვნენ უთუოდ მღვდლები (პავეს ვაშაძე ერის კაცებს აღარ ენდობა) 2) მე, ბარათაშვილმა, არ უნდა დაასახელო მელიატორეთ მღვდელი ვლადიმერ კაპანაძე და 3) პასუხი არ უნდა გავსე ,,შინა-

ურ საქმეებში“ ჩემ წინააღმდეგ მოთავსებულ წერილზე. რამდენად კანონიერია მ. ვაშაძის მოთხოვნილება, ეს მიმინდვია პატაეცემულ მკითხველებისათვის, მე კი მას, ვაშაძეს, ვასიამოვნებ შემდეგით: 1) იყვნენ მღვდლები მელიატორებათ; 2) არ დაენიშნავ მელიატორეთ მ. კაპანაძეს, თუმცა მას არავითარი საბუთი არა აქვს კაპანაძის წინააღმდეგ ამხედრებისა; 3) მე ჯერ-ჯერობით პასუხს არ გავსცემ მას, მაგრამ პასუხი არ იქნება. მელიატორებების განაჩენი? ვინ იცის შეიძლება იმათაც მოსთხოვოს ასეთივე პირობა!

როდესაც ამ სტრიქონებსა ვსწერ, მე ჯერ კიდე არ ვიცი, ვის ასახელებს მ. ვაშაძე მელიატორეთ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მე ვაცნობე მას და ვსთხოვე ერთი მამა არ დაენიშნოს მელიატორეთ, თუ ეს შესაძლოთ დინახოს და თუ არ მოეშვება მას, იყავ ნება მისი — დანიშნოს, ხმა ერჩსა არის ხმა ღვთისა და ამ ხმას მოველი მე მოუთმენლად, როგორც ჩვენი მელიატორული წესით გასამართლების შედეგს.

მღვდელი გერგასა ბარათაშვილა.

2 მაისი 1911 წელი.



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.



განცხადებანი: „შინაურ საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლირონის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (Вѣдомости) წლიური სა-
ბლადოჩინო ანგარიშებისათვის, ბლანკები „ძმობის“ გამოცემა და ფულიც მას ეკუთ-
ნის. ფასი ბლანკებისა — რწვილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს — 4 კაპ.
ხედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религіозно-
Просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.

იბეჭდება და ამ მოკლე დროში გამოვა

კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების გამოცემა

ფ უ ს კ ა რ ი და მ ე ფ უ ს კ რ ი მ ბ ა

აკ. ფულაძის მიერ შედგენილი, წიგნი დაჯილდოებულია **ოქროს
მენდალით**. მიიღება დასაბუქდათ მხოლოდ სამეურნეო სასიათის განცხადება.
წიგნის დაკვეთა და განცხადებების შეკვეთა შეიძლება კავკას. მეფუტკ.
სახ. თავმჯდომარის სახელზე. (ტფილისი, ბაქოს ქუჩა № 6, თავ. ზლატონ
მის. ლორთქიფანიძესთან). წიგნის ფასი ცალკე იქნება გამოაცხადებული.

დაიბეჭდა და იყიდება „შინაური საქმეების“
გამოცემა

შემდეგი წიგნაკები:

მათიის დღიური და


არს კანც-კლუ.

რუსულადან
 გადმოთარგმნილი.

მოსსენება

ბროფესორ ა. ყაჯარელისა.

ნათარგმნი

სინოდის ორგანის „Церковныя Вѣдомости“-დან,
1906 წლ.

მოწმობანი მე XVII—XVIII სსუგ. ოფიციალურ
მიწერ-მოწერების სტატიკულასი (აკე იასი)
კელეიასი ავტოკეფალიის შესახებ.